F567 ✓3288

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს ხმა


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 20 (157)

ნოემბერი,

1966 წელი



ქალაქი რუსთავი. სინთეზური ბოჭკოს ქარხანა.

ორგზის ლენინის



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გენერალური მდივანი ამხ. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი საქართველოს სსრ დროშაზე მიაბნევს ლენინის ორდენს.

წინასაოქტომბრო დღეებში საქართველოს მთა-ბარს მოეფინა სასიხარულო ამბავი; საბჭოთა საქართველოს გადაეცემა უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

საბჭოთა საქართველო მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოებულია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის, ეს არის მეტალურგებისა და მეჩაიეების, ქიმიკოსებისა და შვეხახეების, მანქანათმშენებლებისა და მაღაროელების, ფეიქრებისა და კვების მრეწველობის მუშაკების, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეების — რესპუბლიკის ყველა მშრომელის დამსახურებული ჯილდო.

თავის მიღწევებს, მთელ წარმატებებს საქართველოს მშრომელნი უმადლიან დიდ ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევ მეგობრობას, კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას.

31 ოქტომბერს ათასობით თბილისელი გამოვიდა ქუჩებში და მოედნებზე. მათ ხელში ყვავილები ეჭირათ. მზის სხივებზე ალისფრად ელავდნენ ტრანსპარანტები, რომლებზეც ეწერა: „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“.

რკინიგზის ვაგზალზე მოვიდნენ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მშრომელთა წარმომადგენლები.

თბილისელები გულთბილად შეეგებნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც თბილისში ჩამოვიდა რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადმოსაცემად.

თბილისში ჩამოვიდა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი.

გაისმის მშუხარე ტაში და მხურვალე, გულითადი მისასალმებელი სიტყვები. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გულთბილად მიესალმა დამსწრეთ. პიონერებმა და მოწაფეებმა ყვავილთა თაიგულები მიართვეს.

ნაშუადღევს ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** ეწვია რუსთავს და დაათვალიერა მეტალურგიული ქარხანა.

ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** ესაუბრა წარჩინებულ მეფოლადეებს სოციალისტური შრომის გმირს **ამირან ფანცულაიას, გრიგოლ ბერეკაშვილსა** და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს **გრიგოლ სებისკვერაძეს,** მებრძმედეს სოციალისტური შრომის გმირს **ვარდიშ კობერიძეს.**

საღამოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** და მასთან ერთად ჩამოსულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. გ. ეგორიჩევმა** საქართველოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების თანხლებით დაათვალიერეს თბილისის მეტროპოლიტენი.

საზეიმოდ მოირთო 1 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლე. აქ საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე შეიკრიბნენ რესპუბლიკის ყველა კუთხის წარმომადგენლები.

საზეიმო კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. ძაგანოვმა. ვ. პ. მჟავანაძემ საქართველოს კომპარტიის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების დიდებული მელოდიები.

სიტყვას ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, რომელსაც საზეიმო კრების მო-

ორდენოსანი

ნაწილები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მხურვალედ მიულოცა მთავრობის დიდი ჯილდო რესპუბლიკის მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას და სახალხო ინტელიგენციას და უსურვა ყველა მშრომელს ახალი წარმატებანი მუშაობასა და შემოქმედებაში, ბედნიერება ცხოვრებაში. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ვრცლად ილაპარაკა საქართველოს მშრომელთა უდიდეს წარმატებებზე.

— ჩვენი საბჭოთა სამშობლო ამაყობს ქართველი ხალხის მიღწევებით და დიდად აფასებს მათ, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა. — წელს საქართველოს სამოცდაათ მუშას, კოლმეურნესა და მეცნიერს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. ამავე დროს თქვენი რესპუბლიკის 11 ათასამდე მშრომელი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. ორდენოსანი გახდა ჭიათურის მარგანეცის ტრესტი და ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი, თბილისის გვირაბმშენებლობის სამმართველო.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშის დამამშვენებელი მეორე ლენინის ორდენი არის ჯილდო, რომელიც საქართველოს თვითეულ პატიოსან მშრომელს სამართლიანად შეუძლია მიაჩნდეს თავისი პირადი შრომის, კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეში თავისი წვლილის შეფასებად.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიულოცა საქართველოს მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების 49-ე წლისთავი და კეთილდღეობა, ბედნიერება უსურვა თვითეულ სახლს, თვითეულ ოჯახს.

მჭუხარე ტაშის გრიალში ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოს სსრ დროშაზე მიაბნია ლენინის ორდენი. მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და დიდი ჯილდოსათვის ერთსულოვნად გამოთქვა უსაზღვრო მადლობა პარტიისა და მთავრობისადმი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

ვ. პ. მჟავანაძემ ქართველი ხალხის სახელით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით გულითადი და დიდი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის შრომის მაღალი შეფასებისათვის. ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ აღუთქვა პარტიას, მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს, რომ საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო მეტ წვლილს შეიტანენ საბჭოთა ადამიანების საერთო ბრძოლაში ჩვენი სახელოვანი საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის, ყველა მოსკოველის სახელით საზეიმო სხდომის მონაწილეებს და მათი სახით მთელ მოძმე ქართველ ხალხს გულთბილად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი.

თავიანთ გამოსვლებში სოციალისტური შრომის გმირმა, მემანქანე-ინსტრუქტორმა გ. ბოგვერაძემ, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. წითლიძემ, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ხარაძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პოეტმა აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა თინა კაკუშაძემ ილაპარაკეს იმ დიდ სიხარულზე, რომელიც საქართველოს მიწა-წყალზე სუფევს.



ამხ. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი ეწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც მას გააცნეს უნივერსიტეტის კომპლექსური განვითარების გეგმა.

საოქტომბრო დღესასწაული თბილისში

ორმოცდამეცხრეჯერ აღნიშნავს საბჭოთა ხალხი ყველაზე ძვირფას და სასიხარულო დღესასწაულს —დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. ორმოცდაცხრა წლის წინათ „ავრორის“ ზალპმა აუწყა კაცობრიობას, რომ დაიწყო ახალი ერა — სოციალიზმისა და კომუნიზმის ერა. იწყება ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის ორმოცდამეათე წელი. ამ იუბილეს იგი ეგებება ძლიერებითა და დიდებით აღსავსე. საქართველოს მშრომელები, ემზადებიან რა ღირსშესანიშნავი თარიღის საზეიმო აღნიშვნისათვის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის მშრომელები იგონებენ განვლილ გზას და ამაყობენ მშობლიური ლენინური პარტიით, საბჭოთა ხელისუფლებით. თავიანთ კურსს ისინი ლენინით ამოწმებენ, მტკიცედ იცავენ მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავ მოძღვრებას. ეს მოძღვრება გახდა დროშა, რომლითაც დღეს სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით მიდის ჩვენი პლანეტის მილიარდზე მეტი მცხოვრები.

5 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 49 წლისთავს.

დარბაზში შეიკრიბნენ თბილისის საწარმოებისა და მშენებლობების ნოვატორები, ინჟინრები და ტექნიკოსები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიის მეომრები. აქ არიან ისინიც, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო რევოლუციური ბრძოლების უშუალო მონაწილე, და ახალგაზრდობაც, რომელიც ახლახან შეუდგა შრომითს ცხოვრებას.

სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **შ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, რ ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია**, საქართველოს სსრ მინისტრები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, წარმოების მოწინავენი, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ამხ. შ. ე. ბუხრაშვილმა.**

შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49 წლისთავის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ამხ. გ. ს. ძოწენიძემ.**

* * *

7 ნოემბერს რუსთაველის პროსპექტზე გაიმართა თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი. ხოლო მშრომელთა დემონსტრაცია უამინდობის გამო არ ჩატარებულა.

მალე ნახვამდის!

წარმატებით ჩაიარა ფრანგული ბალეტის პრემა-ბალერინას ემილ ფაღავას გასტროლებმა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე. მხურვალე აღტაცებით შეხვდა თბილისელი საზოგადოება მის პირველსავე გამოწენას სცენაზე ჟიზელის პარტიაში. ბალერინამ თავიდანვე დაიპყრო მაყურებელთა გული თავისი შესანიშნავი გარეგნობითა და გრაციით. მან მეტად დამაჯერებლად გადმოგვცა უბრალო, გულუბრყვილო სოფლის გოგონას ჟიზელის ტრაგედია.

მისი ცეკვა აღსავსე იყო პირველად განცდილი სიყვარულის სიწრფელით, სიცოცხლისა და ბედნიერებისადმი დიდი რწმენით. მეტად დახვეწილ, ყოველგვარ ძალდატანებაა მოკლებულ მის ცეკვაში ჩარმონიულად იყო შერწყმული მოძრაობის ჰაეროვნება, გაწაცდის სიღრმე, სიხარულის სიჭიხვსა და სიცოცხლისაკენ მძაფრი სწრაფვა. სამხრეთული, ნამდვილი „ქართული ტემპერამენტით“ მოცეკვავე ქმნიდა ამაღლებული სიყვარულის იდილიას და ამ შთამაგონებელი გრძნობისათვის თავგანწირვას. ამიტომაც იყო ასე დამაჯერებელი ის ტრაგიკული ფინალი, რომლითაც თავდება I მოქმედება; სწორედ ასე უნდა დასრულებულიყო გაცრუებული სიყვარული: დაიმსხვრა უდიდესი რწმენა, და რწმენასთან ერთად სიცოცხლეც, რადგან თვით ეს რწმენა ამაღლებული სიყვარულისა იყო ყოვლისმომცველი ძალა სიცოცხლისა.

მეტად გრაციული და კეკლუცი პირველი მოქმედების დასაწყისში, ტრაგიკულად მძაფრი და ამაღელვებელი იყო ე. ფაღავა ჟიზელის სიგიჟის სცენაში.

მეორე მოქმედებაში ე. ფაღავას ჟიზელი ჭაღარად მოხიბლავი, ნაზი და ჰაეროვანია. მასში ნათლად გამოსჭივის ბავშვური უმანკოება, სიყვარულის სიწმინდის ხიდიადე.

სულ სხვა სულიერი სამყარო გადაგვიშალა ე. ფაღავამ „დონ კიხოტში“. მსახიობი ამ ბალეტის III მოქმედებაში გამოვიდა. რამდენადაც პოეტური იყო მისი ჟიზელი, იმდენად ჭაბუკური მგზნებარებითა და ტემპერამენტით იყო აღსავსე მისი ჩილეტა. შესანიშნავი იყო პა დე დე. მასში იგრძნობოდა ის სიცოცხლის დამამკვიდრებელი ენერგია, ზეაწეული პათეტიკა, დიადი მიზნისაკენ სწრაფვის მაამოძრავებელ ძალას რომ წარმოადგენს. თავბრუდამხვევი ტემპი, გამაკვირვებელი და დასრულებული საბალეტო პოზა ბალერინას დიდ ტექნიკურ შესაძლებლობაზე მეტყველებდა, ხოლო შინაგანი წვა, განცდათა ურთულესი გამა, გადასვლები ლირიული განწყობილებიდან ღრმად დრამატულ მდგომარეობაში მის არტისტულ ნიჭზე მიგვითითებდა.

„ეთერ ფაღავა გვაოცებს თავისი არაჩვეულებრივი ზეიმურობით, ზეაწეული სტილით, პათეტიკური, მბრძანებლური სიდიადით, აგზნებული სიამაყით. მის ცეკვაში იმდენი ბრწყინვალება, გამარჯვების ზეიმი და მგზნებარებაა, რომ თითქოს იგი მიგაჩანებს თავისი შეუღრეველი, სწრაფი ტემპით. ამ ტემპს განაპირობებს ბალერინას შესაძლებლობანი — მისი ტექნიკური გამართულობა, მის მოძრაობათა მკაფიობა, მისი საოცარი შინაგანი დარწმუნებულობა ყოველივე იმაში, რასაც იგი სცენაზე აკეთებს“ — წერდა თავის სარეცენზიო წერილში გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე ე. ფაღავას გამოსვლების შესახებ ხელოვნებათმცოდნე ე. გუბუშვილი.

სპექტაკლის შემდეგ ე. ფაღავას ინტერვიუ ვთხოვეთ. იგი მეტად კმაყოფილი იყო იმ გულთბილი მიღებით, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ მოუწყო მას. უამრავი ყვავილები მის ოთახში, გარეთ ზღვა თაყვანისმცემელთა. მის გამოსვლას რომ ელოდა სპექტაკლის შემდეგ, სწორედ ამის დადასტურება იყო.

ბალერინა მოგვითხრობს თავისი შემოქმედებითი გზის შესახებ. ლაპარაკობს ქართულად, ოდნავ იმერული კილოთი:

— დავიბადე პარიზში. მშობლები ქართველები მყავს. ბავშვობიდანვე გატაცებული ვიყავი ცეკვით. ვცეკვავდი ყველგან — სახლში, ქუჩაში, ბაღში, სადაც კი მომხვდებოდა.

სწორედ ამ დროს ქუჩაში 6 წლის გოგონასათვის თვალი მოუკრავთ განთქმული ბალეტმეისტერის სერჟ ლიფარის კონცერტმეისტერებს, რომელნიც გაოცებულან ბავშვის პლასტიკურობითა და საცეკვაო მანერების სინატიფით. მათი რჩევით ეთერი მშობლებს ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიუბარებიათ იმ დროისათვის ცნობილ პედაგოგ ქალბატონ ეგოროვასთან.

— სამი თვის შემდეგ უკვე დამოუკიდებელ საბალეტო ნომრებს ვასრულებდიო „ახალგაზრდობის ბალეტში“, — გვიამბობს ე. ფაღავა.

მალე იგი ჟანინ შარას და როლანდ პეტის დასის პირველი სოლისტია. 13 წლის ასაკში უკვე წამყვანი მოცეკვავეა ელიზეს მინდვრების ბალეტში. სენსაციური იყო მისი გამოსვლა ფორენის ბალეტ „პატარა ატრობატში“. 15 წლისა ს. ლიფარმა იგი პრემა-ბალერინად მიიწვია მონტე-კარლოში, სადაც იცეკვა თითქმის ყველა წამყვანი პარტია. ბალერინა განსაკუთრებული სიამოვნებით იხსენებს თავის გამოვლებს ბალანჩინის დადგმებში „სომნამბულაში“, ბაროკოს კონცერტში, „4 ტემპერამენტში“, ლიფარის დადგმაში ჩაიკოვსკის „რომეო და ჯულიეტას“ მიხედვით.

— დიდი სურვილი მაქვს, — ამბობს ე. ფაღავა, — ლიფარის ეს დადგმა განვახორციელო თქვენს სცენაზე, რისთვისაც ლიფარისაგან ნებართვა უკვე მიღებული მაქვს. ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს, თუ ეს ჩემი ოცნება განხორციელდება.

ამჟამად ე. ფაღავა ამსტერდამის ეროვნული ბალეტის სოლისტია. გასტროლებით შემოვლილი აქვს ამერიკა, ინგლისი, ეგვიპტე, ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრალია. მიწვეული იყო „ლა სკალაშიც“, სადაც დიდი წარმატებით შეასრულა „კოპელია“.

— აღტაცებული ვარ თქვენი თეატრით, — ამბობს ეთერი, — განსაკუთრებით საბალეტო დასით. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ვიხილე ბალეტის გოლიათი ვახტანგ ჭაბუკიანი. უფრო მეტად ბედნიერი ვარ, რომ მასთან ერთად ვიცეკვე. არასოდეს არ დამავიწყდება მისი რომანტიული და მხურვალე სიყვარულით აღსავსე პრინცი ალბერტი, ჭარიშხალივით მგზნებარე ბალი. დიდ მადლობას მოვახსენებ დირიჟორს ბატონ დიდიმ მირცხულავას, რომელიც შთაგონებულად მართავდა ოპერატორს, მთელ საბალეტო კოლექტივს, რომლებმაც ხელი შეუწყეს ჩემს გამოსვლებს სპექტაკლებში. სამწუხაროდ, ჩემს აქ ყოფნაში არ იყო შესაძლებლობა მენახა საბალეტო სპექტაკლები, მაგრამ მე ვნახე „დონ კიხოტის“ პირველი მოქმედება და არ შემიძლია არ აღვნიშნო შესანიშნავი მოცეკვავის ვერა წიგნაძის მომხიბლაობა, მისი მაღალი ოსტატობა.

ვწუხვარ, რომ თბილისის ბალეტის პარიზში საგასტროლო მოგზაურობის დროს იქ არ ვიქნები, რადგან თავად მივემგზავრები გასტროლებზე. წინასწარ გილოცავთ ამ დიდ ზეიმს და გისურვებთ დიდ წარმატებებს.

რამდენადაც შესაძლებელია, მთელ თავისუფალ დროს ვანდომებ იმას, რომ უფრო ახლოს გავიცნო ქართველი ხალხი, მისი კულტურა. მე ხომ ქართველი ვარ და უდიდესია ჩემი ბედნიერება, რომ გავიცანი ჩემი ხალხი, ჩემი სამშობლო. ალბათ კიდევ ბევრჯერ ჩამოვალ, ბევრჯერ ვნახავ მთაწმინდას, სვეტიცხოველს, თქვენს სახახლეებსა და მუზეუმებს, გავეცნობი თქვენს თეატრებს, უფრო ახლო ვეზიარები ქართულს, მშობლიურ კულტურას. მარტო იმიტომ კი არ მინდა ჩამოვსვლა, რომ ქართულ ბალეტში ვიცეკვო! მინდა იმიტომ, რომ აქ ყველაფერი მომწონს, ყველაფერი ჩემთვის ახლობელია და მშობლიური.

მადლობა ქართველ ხალხს, რომელმაც ასე ახლოს მიმიღო და ამდენი სიყვარული დამაფრქვია. ჩემს პატარა ტარიელსაც, ჩემს ვაჟიშვილს, ვასწავლი როგორი სიყვარული იციან ქართველებმა.

ასე დაასრულა ეთერ ფაღავამ თავისი ინტერვიუ. ჩვენც გუსურვებთ შემდგომ წარმატებებს ჩვენს თანამემამულეს.

ნ. სვანიშვილი.

სურათზე: სცენა სპექტაკლ „ჟიზელიდან“. ჟიზელი — ეთერ ფაღავა, ალბერტი — ვახტანგ ჭაბუკიანი.



ლივან გოთუა

უველაფერი გაცხადებულ ოცნებასავით მოულოდნელი იყო. ხალხით ამაღლებული გალავანი, კარიბჭის ბურჯებზე გადმომდგარი შეაბრუნული შუბოსნები. სამრეკლოს სახურავზე გასული ახალგაზრდობა. საოცრად ეფერადებული და შემოძრავებული ზღვა ხალხისა სამების სერის კალთებსა და ბოლიას მთელ ტაძობაზე. ეს ყოველად ნაცნობი და ნაგრძნობი მიდამო და გარემოხედი, ახლა სხვა ჯავარით იყო აღნიშნული, შემკული და ახალი სულით შთაბერილი... ერი მრავალის მოსვლით უჩვეულოდ ამაღლებული.

ვუმზერდი და თვალებს არ ვუჯერებდი. დალაგებულ თხრობას ნუ მომთხოვთ. აქ ყველაფერი პირდაპირ გულში მიკაკუნებდა, მრავალ ანარეკლს ჰბადებდა... თვით განზრახვა გრემ-ქალაქობისა, მისი კეთილშობილური მიზანი, ის ვეებერთელა... მე ვიტყოდი — სახალხო ღიმილი, რომელიც ნათლივ ჩანდა გრემის მაღალ კარიბჭიდან — სამების სერამდე, ოქაშიდან — ახალ გზამდე და ხიდეებამდე.

ეს ჩვეულებრივი, თუნდაც კარგად ჩატარებული ღონისძიება კი არ იყო, არამედ ბრძნული, შემოქმედებითი განჭირვეტა! დანგრეულ ისტორიულ ქალაქისათვის, დიდებულ ტაძრისათვის, მებრძოლ კომკავშირისათვის ახალ, თანამედროვე, მოქალაქეობრივ ფუნქციის მიგნება — მოპოვება! ძველისთვის და ახალსაჭირო ტრადიციის შერწყმა — დაღვენა!

გრემის ისტორიულ ცხოვრებაში, პრინციპულად ახალი, სრულიად ხალხური ფურცელი გადაშალა. შოთა რუსთაველის ცხოვრემყოფილ შემოქმედების საერთო გავლენითა და მეოხებით, ჩვენი სხვა თარიღებიცა და ძეგლებიც ღირსეულად ალაპარაკდნენ!

წუხელ მანქანით, აქეთ რომ მოვქროდით, ჯერ კიდევ შორიდანვე შეამჩნიეთ ღამის ცაში ორ ხეად აღმართული, განათებული ძეგლი.

საერთოდ ამ ბოლოხანს ჩვენს ძეგლ, დიდებულ ხუროთმოძღვრებასაც მისწვდა ახალი შუქი. ეს სიმბოლურად — საუკუნოვან სიბნელიდან მათ ამოსინთლებას, ახალ თვალით დანახვას ნიშნავს... და ახლა მარტო სვეტიცხოველი როდია — სვეტიცხოველი, არამედ მცხეთის ჯვარიც, ანანურიც... ახლა მათ გრემიც შეემატა... და კიდევ რამდენია გასანათებელი და შესამოსებელი!

...ჰაერში ძეგლისა და ხალხის თავზე ერცარი გუგუნი გაისმა. გრემის ცას ნელ-ნელას მხრიდან ვერტმფრენი გადმოეწერა. თანდათან ჩამოდაბლდა და ხალხის თავზე ჰაერით ჩამოკიდა — დღეობის დასაწყისი მოულოცა!

შეჭალებული ხალხი ხელებს, ხელსახოცებს, ქოლგებს უქნევდა... საჭიდაო მოედანზე იწვიდა. გზიდან, ხიდეების ზევით და ქვევით, პირდაპირ რიყით თუ თარსაგალავნის გადმოვ-

თბილისში სტუმრად იყო კორნელია ბონ-ფერბერგი. ეს სახელი ძვირფასი და მშობლიურია ბევრი ქართველი ვაჟკაცისათვის, მათთვის, ვისაც მთელი ჩვენი ქვეყანა ტექსელის გმირების სახელით იცნობს.

კორნელია ბონ-ფერბერგს 20 წლის წინათ „ჩვენი დედა“ შეარქვეს ქართველმა გმირებმა. დედა უზრუნველყოფდა მათ სურსათ-სანოვაგეს, ინახავდა იარაღს, შველოდა, ამხნევებდა ცეცხლოვანი კუნძულის გმირებს. განუსაზღვრელი იყო კუნძულის მკვიდრთა ზიზღი ფაშისტი ოკუპანტების მიმართ. „თქვენი მტერი ჩვენი მტერიც არის!“ — უთხრა კორნელიამ საბჭოთა მებრძოლებს და მთელი მისი ოჯახი მხარში ამოუდგა ქართველებს. მათთან იყვნენ სხვა ტექსელელებიც...

უკან დარჩა ბრძოლის წლები. 750 ქართველ მებრძოლთაგან 228-ღა დაუბრუნდა სამშობლოს. დანარჩენები ძმათა სასაფლაოზე წვანან. და კორნე-

საკვირველი სვა

№ 20, ნოემბერი, 1966 წ.

გრემ-ქალაქის ახალი სიცოცხლე

ლით, ხალხის ახალმა ტალღამ იგრიალა... ზედაც ოქლაქის მხრიდან ტყავში ჩამჯდარი ბერიკები შემოიჭრნენ.

ხალხური სანახაობა ცისკვა-თამაშით, ჟივილით, მათრახების ტლაშუნით და ყირაზე გადასვლით დაიწყო. მათ მოყოლილ დოლ-გარმონს, აქით-იქიდან ახლა სხვა საკრავები აჰყვნენ. ხალხი ფერდობებს შეეფინა და ერთბაშად ჯადარი ააფრიალდა. აქ ჯვილაფერი სწრაფად ცვალებადობდა. ქვევით „ყეენი“ ვირზე შესვეს და ხიდქვეშ გააჟვრინეს. ახლა გრემის კარიბჭესთან, ხაზეიმოდ მწვანედ მორთულ ტრიბუნიდან, გაისმა ზაალ იოსებაშვილის მჭევრი სიტყვა. გულგახსნილ ხალხს, მან შეახსენა, რომ მარტო ცისკვა-თამაშით კი არა, შესანიშნავი შრომითაც გამოირჩევა გრემი და საერთოდ ყვარლის რაიონი.

მთელი არე-ასპარეზი არა მარტო კარგად მორთული, კარგად გახმოვანებული იყო. ძველ ქიდლებსა და ბოძებზე, ხმამადიდები, ზვარაკ ხარის თავებივით ეკიდნენ. სიტყვა, ლექსი თუ ქილო-სიმღერა საგრემოს ქიდით-ქიდემდე გაჰქონდათ.

ჩემი რიგიც მოვიდა. ხალხს რომ გადავდექი, სულ ამიჩქარდა თვალი. მრავალი ათასი კაცი და ჩრდილო მზეში იდგა... ნანგრევს, უნგრევს და ახალ ნაგებს აერთიანებდა. დალაგებული სიტყვა დამავიწყდა, წარსული და აწმყო ამერია... ამდენი ხალხი ლაშქრად რომ ჰყოლოდა ალექსანდრეს ან ჯანდერს, შაჰბაზი ვერას დააკლებდა ვერც გრემსა და ვერც საერთოდ კახეთს!..

როდესაც „გმირთა ვარამს“ გწერდი, მრავალი ღამე გრემის სამრეკლოზე მითევია... ჰოდა ოცნების თვალით დანახული, გამომთვარული ნანგრევები თითქოს დგებოდნენ... ჭიჩებში, ჭულბაქებში, მოედნებზე ძველ-გრემელები გამოდიოდნენ... ქალაქი ერთობლივ ცოცხლდებოდა!.. ახლა კი დღისით და მზისით... სწორედ მზეში ბანაობდა, თითქოს ისევ აღდგარი გრემი!

— გრემ-ქალაქელებო! ისეთი ჯიშია დავკრათ, რომ ყოველ ჭურის და დროის შაჰაბასებს საფლავშიაც ზარი მიეცეს... გრემი ცოცხლობს და თავის 500 წლისთავს ზეიმობს.

ქვევიდან მიწისძვრასავით გუგუნი ამოვიდა.

— ვაშა თქვენცა და თქვენს მესვეურებსაც — ერთობლივ გრემელებო! რომ ასეთი სახალხო დღესასწაული დააწესეთ! იგი ჩვენი გამძლეობის, წინსვლისა და ეროვნული უკვდავების ნიშანი და საწინდარია!

კიდევ ერთხელ შეგუგუნდნენ და ტაშები შეატალღეს „გრემელებმა“, როდესაც, დღეს აქ გახსნილ ძეგლ-მუზეუმს, ჩემი „გმირთა ვარამი“ ვუნოხათე.

წიგნი ახლა გრემის ზარივით რეკდა! მაგრამ ახლა ზარსაც აქ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა... ძველ მარიამობაზე მოსული ხალხიც, აქეთ გრემ-ქალაქობაზე დაიძრა. უფრო მნიშვნელოვანმა, ძველ-ახალმა დღეობამ, ჩაყლაპა — ძველი, დროგასული.

...ახლა გრემის კარიბჭიდან პოეტი ილო ბეროშვილი აგუგუნებდა თავის ლექსს.

ქვევით კი ახალგამოყვანილ წყაროსთან ხალხის ტალღა მიჯრილიყო... წყალს სვამდა და სიტყვას უსმენდა... და თუ გავითვალისწინებთ, რომ კახეთში დიდი გვალვა იდგა, ინწობაც, ბოლიაც, ოქლაქიც ერთიანად დამშრალიყო, ამ ახალ გრემის წყაროს დიდი სიმბოლური და პრაქტიკული მნიშვნელობა გასაგები ხდება.

იქვე ახლოს „ცოდნის წყაროც“ იყო მაგიდებზე გადაშლილი. ხალხიანობაც იყო და წიგნიანობაც. დაფიქრებით იძენდნენ წიგნებს, ჟურნალებს, სურათებს...

შორი-ახლოს, საცქვაო და საჭიდაო მოედნების იქით, სახინკლეების, სალუდეებისა და ხილის წყლების ლამაზი ფარდულები გაეშალათ. გრემ-ქალაქობა დაისახა და დაიკვება, არა მარტო როგორც ძველის დაცვისა და ქეთილმოწყობის, მუზეუმის გახსნის, კულტურისა და განათლების დროსწყული, არამედ დამატებით, როგორც ფხიზელი, სანიმუშო და სასახელო წესრიგის დღეობა. არც ყოფილა არაკეთილი გამონაკლისი!

კარიბჭესთან, ამ დალოცვილი მხარის მგოსნისა და მეფის — თეიმურაზის ლექსს კითხულობდა ახალგაზრდა მასწავლებელი ფარეზ ნათენაძე. მას მხარში ამოუდგნენ და ამერცქველდნენ მხცოვანი შალვა კობახიძე და სიკო ჩანგაშვილი.

ოქლაქის ბუჩქნარა „კოლისებიდან“ კი გამოვიდნენ მოცეკვავენი, მოძღვრალნი, მსახიობნი.. კვლავ დაჭრელდნენ ბერიკები და სხვა ჭართული ნიობები თუ ლიტერატურული გმირები.

აქ ხალხიც უფრანთ ტკბესავით მომდგარიყო და მის შუაგულში, სრულიად ბეღებრივად ცხენდაცხენ შეიყარნენ „ტყეში გავარდნილი“ კაკო და ბაქრო.

ახლა „დიდი ციხე“ დაიძრა, ქართველის დედა და აკვანი ჩაძოარონინა გრემის ქონგურიდან კი ლექსად ნათქვამი, ილიასეული სიბრძნე ისმოდა. არც ბურჯებზე მდგარი შუბოსნები იყვნენ მოწყენით. გალავანში „შეჭრილებს“ დიდი „იერიში“ მიჰქონდათ მათზე. ცხარედ, თითქმის ხელჩართულად ემუდარებოდნენ — ხუთიოდ წუთით მაინც დაეთმოთ შუბი და აბჯარი გრემის „დასაცავად“.

— განა მარტო შენია გრემი? ჩვენიც არის! ნეილონის პერანგს კი ალ. გთხოვ— ჯაჭვის პერანგი მათხოვე. არ გაგიცვდება!

ქვევით კი თავის რიგით კრძილდებოდა სანახაობა. ახლა დარიჯანი და ლუარსაბი შემოგორდნენ. კარგად მორთულ გროტესკულ-ტაბიურები იყვნენ, ხოლო ვირის ურემზე კი ისხდნენ.

— რატომ სახედარი? — შევეკითხე გვერდზე მდგომს.

— მაშ ტრაქტორს ხომ არ შაბამდნენ? ჩვენს დროში უკვე გაუგონარი ამბავი დატრიალდა — ურმის ავარია!

შევკრთი. მას კი გაეღიმა.

— დარეჯანი კინოში დაგვიშავდა... ლუარსაბმა კი მკვირცხლად უშველა თავს, არც ღიმმა შეუშალა ხელი, არც ილია ჭავჭავაძის დახასიათებამ! ამდენ ხალხის დანახვაზე კამეჩები დაფრთხენ!.. ეს ვირი კი „ვოლგით“ არის სასწრაფოდ მოყვანილი... შეიფიქრა... მაგას არც ხალხის ეშინია, არც ახალი ტექნიკისა!

თელავის მსახიობებს, ახლა მოკვეკვავეთა შესანიშნავი დასტა წამოეშვილა... ქართული ჭორწილი კისკვა-თამაშით მოდის!

სამამულო ომის ობელისკთან ჩამოიარა. მერმე მოჭაკვენი გამოჩნდნენ წრეში.

ჩვენს წინაშე, თითქოს, ვიება წიგნი გადაშლილიყო და უხოლავი ხელით იწერებოდა, იხატებოდა, იფურცლებოდა!.. და რადგან ოცნებიანი დღესასწაული შეითხზა, ერთსაც ვისურვებ... იქნებ მომავალ წლის გრემ-ქალაქობისათვის, გრემიდან — მესტიაში გაიგზავნოს ახალი „მანდილჭარავანი“, სვანეთში ახლაც დაცულ, გრემში ჩამოსხმულ, სრულწარწერიან, აღმქანდრისეულ ხუთ ზარიდან, ერთის სა-

(დასასრული მე-7 გვერდზე.)



გრემი.

მხატვარი ელ. მაყაშვილი.

750 ვაჟკაცის დედა

ჩვენი სტუმრები

ლია მეგობრებთან ერთად სათუთად უვლის მათ საძმო საფლავს... ჩვენ ვინახულეთ საქართველოში სტუმრად ჩამოსული კორნელია ბონ-ფერბერგი. იგი მაღალი, თეთრთმიანი ქალია. სიყვარულით ლაპარაკობს თავის „შვილებზე“, რომელთაც „ჰოლანდიის შვილებსაც“ — უწოდებს. მერე ჩანთას ხსნის და უამრავ ფოტო-სურათს. გვთავაზობს. აქ არიან ქართველი ბიჭები, ცალცალკე თუ ჯგუფურად გადაღებულნი. ეს 20 წლის წინანდელი სურათებია, მაგრამ კორნელია ბონი შეუცდომლად იხსენებს ამ ვაჟკაცების გვარსა და სახელს.

ზოგიერთმა ამ ვაჟკაცთაგანმა ინახულა თავისი „დედა“. ზოგს თავად კორნელია ესტუმრა. ნახა თბილისში შალვა ნოზაძე, ევგენი არტემიძე, სიღნაღელი ილია ბეგიაშვილი, ბორჯომელი ნოე გონგლაძე, მუხრანელი გარეგინ ოსკანოვი... მეგობრებთან ერთად დაათვალიერა ჩვენი თბილისი, მცხეთა, რუსთავი, ბორჯომი, სოხუმი და საქართველოს ხალხითა და მრავალფეროვანი ბუნებით აღტაცებული დარჩა.

კორნელია ბონ-ფერბერგმა გულითადად უსურვა ჩვენს დედებს, დებს და შვილებს, რომ არასოდეს გადაეტანოთ ომის საშინელება!

ნ. კილასონია.



სურათზე: კორნელია ბონ-ფერბერგს გაცილება თბილისის აეროპორტში.

მგლის ლეკვი

ზურაბ რატიანი




ზურაბ პროკოფის-ძე რატიანი დაიბადა 1938 წელს ქ. თბილისში. 1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ხოლო 1965 წელს ასპირანტურის კურსი საქართველოს ისტორიის ფეოდალიზმის ხანის სპეციალობით. ამჟამად მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად.

პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა 1962 წ. ჟურნალ „ცისკარში“, შემდეგ ჟურნალი „მნათობი“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ ბეჭდავენ ახალგაზრდა მწერლის მოთხრობებს.

გარდა ამისა ზურაბ რატიანის იუმორისტული ნაწარმოებები იბეჭდება ჟურნალებში „ნიანგში“, „საქართველოს ჭალში“, გაზეთ „კომუნისტში“, „სოფლის ცხოვრებაში“, „თბილისში“, ხოლო ნარკვევები სპორტულ თემაზე „ლელოში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“ და სხვა გაზეთებში.

ქვემოთ გთავაზობთ ზურაბ რატიანის ახალ მოთხრობას „მგლის ლეკვს“.



ძველი ხურჯინივით გადაჰკიდებია ეს ერთი ციდა ბიჭი პაპამისს და აღარ ეშვება:

— კიდე, რა, პაპა საჩინო, კიდე რაა!..

— კიდე რაღა გინდა... დაიძინე ახლა, გვიანია. — ილაჯგაწყვეტილი ემუდარება მოხუცი.

— არ მინდაა!.. — ჭიჭყინებს აჩიკო. ბებიაც აქეთ მოიჩქარის, და იწყება ორომტრიალი.

— აი, მიწა კი დაგაყარე შენა, რათ ატირებ ე მაგ ბალღსა, რათ ატირებ მეთქი! — გაჰყვირის დედაბერი.

— აღარ შემძლია, დედაკაცო! შემიკლა ხელში ამ მგლის ლეკვმა, შემიკლა! — ჩივის ბერიკაცი.

— აააი, შენ კი ჩასკდი, შენა! რით შეგიკლა, ჰა?! დოლაბები აგკიდა ზურგზე? დაჯექ და ეხლავე მოჰყე შენ ზღაპრებსა!

— მე ზღაპრებს არა ვყვები, გაიგე შენა! — წყინს საჩინოს.

— უი, ქაა, ზღაპრებს არა ვყვებიო! მაშ არა და ჩვენი სკოლის დირექტორივით სულ წიგნებიდან ამბულბულებ, ჰაა?! — ქაქანებს სალომე.

— წიგნებიდან, მაშა! საქმეც ეგ არის, რაც წიგნებში არა სწერია, კაცმა ის იცოდეს, თორემა წიგნებს ე ბალღიც კი წაიკითხავს, რო გაიზრდება! — აჩიოსაკენ იშვერს ხელს საჩინო და შემკრთალი სდუმდება.

სალომეც ბავშვისაკენ იცქირება, ხასწრაფად პირზე ხელს იფარებს და ჩურჩულებს:

— უი, ქაა, ჩასძინებია ჩემ ანგელოზსა, ჩუ, ჩუმათ, შე გადაყრუებულო, შენა.

საჩინო ცოლის ჩიფჩიფს არაფრად აგდებს, ოთახიდან ფეხაკრეფით მიიპარება და იღიმება:

— ჩასძინებია მგლის ლეკვსა, ჩასძინებია.

წამოიზარდა აჩიკო და ახლა ხომ მთლად ხელში ჰყავს შეკლული საბრალო მოხუცები. აგულიანებს ისედაც წაკიდებულ ბებრებს, თვითონ კუთხეში მიყუჟულა და ლურჯდება სიცილით.

— დედაკაცო, იწამე ღმერთი, რის თვისა მკლავ, ხედამ, ი შენი ანგელოზი სიცილით იგუდება და ჩვენ აქ ერთმანეთს ვასკდებით!

— უი, ჩემს თვალებსა, დახე, დახე, როგორ დოღრიალა გელასეებ იკრიჭებაა!

— მაშ, მაშ, ღმერთი სწამს ეხლა მაგას? — ცეცხლს უმატებს სალომეს საჩინო.

— ჰკიი, რაც არ არის, რათ უნდა მწამდეს! — ბუყრდება აჩიკო.

— არა, გენაცვალე, ჩვენ ეს მართლა მგლის ლეკვი ხეირს არ დაგვაყრის! ადე, კაცო, მოჰკიდე ხელი და ჩაჰგვარე ქალაქში მაგის ნასწავლ მშობლებსა! — კოპებშეკრული იძახის სალომე.

ამის გამგონე აჩიკო ისე იშაქრება, ისე ითაფლება, რომ თქვენგან მოწონებული. ბებრებსაც რა შეტი უნდათ? იჩუქებენ მილეულ გულებს, ვიშვიშებენ და თავს ევლებიან შვილიშვილს. ერთხანს საამტკბილობით არიან. ხარობენ და იმ ტიელ სიბერესაც ივიწყებენ. მერე აჩიკოს ისევ ოფოფები უფრინდება და იწყება ისევ ცოდვა-მადლის კითხვა. ეს ყველაფერი მატუ-ლობს, გროვდება და ძნელდება. ბიჭი სწრაფად იზრდება და მკვირცხლდება. მოხუცები ნელა, მაგრამ მაინც ილევიან და შვილიშვილს ველარ უმკლავდებიან. ვერც ქალაქში გასაგზავნად იმეტებენ ბიჭს და უმწეოდ იქლესრებიან.

— ბუნაგი არ დაივიწყო, მგლის ლეკვო! — ეხვევა თვალცრემლიანი საჩინო შვილიშვილს.

— მგელი და ვეშაპი თვითონა ბრძანდები! ეს ჩემი ანგელოზია, ესა, — ქმარს თვალებს უბრიალებს სალომე და აჩიკოს გულში იკრავს.

ბიჭი მაგრად ჰკოცნის მოხუცებს, ნუ დარდობთ, მალე ჩამოვალო, და ავტოში სკუპდება.

მანქანა მიდის. აჩიკო უკან იცქირება — ბებრები უძრავად დგანან. მერე ხედავს, რომ ბებია თვალებზე იფარებს თავსაფარს და პაპა ხელს იქნევს. მანქანა მალე უხვევს და ბებრებიც თვალს ეფარებიან. აჩიკო ჰყვირის— გააჩერეთო და ღრიალებს.

ავტო მიჰქრის შარაგზაზე, აჩიკოს დედა და მამა ეფერებიან, ამშვიდებენ, მაგრამ ვერა და ვერ აჩერებენ.

* * *

ქალაქში აჩიკოსათვის ვისა სცხელა. დედა პატარა ტუჟუბებს დასტრიალებს თავს. მამა დღენიადაგ ნახაზებს ჩაჰკირკიტებს. არის აჩიკო თავისთვის და ბუზღუნებს:

— პაპა საჩინო ძველ ამბებს მიყვებოდა ხოლმე, თქვენ კიდეე...

— აჩიკო, პურზე წადი! — აწყვეტინებს დედა.

— აჩიკო, ჩაირბინე, სიგარეტი ამოიტანე! — ეძახის მამა.

დაუზარელი ბიჭია აჩიკო. მაინც და მაინც არც გაკვეთილების სწავლა ეზარება. ეზოში თამაშით ხომ ვერ მოპირავ.

— რას დაწაწყალებ, ბიჭო, დაჯექი და წიგნი წაიკითხე! — ხმას იმაღლებს მამა.

— არ მინდა მე ეგეთი წიგნები, ვიღაც უთავბოლო მხედრია, თუ დარდუბალაა!

— აბა რა გინდა?

— რა და პაპა საჩინო რო მიამბობდა ხოლმე, ისეთი!

— რას გიამბობდა, ბიჭო, ის ჩემი ცოდვით სავსე მამაჩემი? — მოთმინებას ჰკარგავს ლეო.

— რას და არსენაზე, გიორგი სააკაძეზე, დავით აღმაშენებელზე!

— ჰო, კარგი, კარგი, ეხლა ძალიან დაკავებული ვარ და მერე მეც მოგიყვები ხოლმე. ჰოდა, ეგეთ წიგნებსაც მოგიტან. — ჰპირდება მამა აჩიკოს და თან ფიქრობს: — ჰმ, უნდა დავიწყო ისტორიის სწავლა და ეგაა.

არ იქნა და აღარ აძლევს საშველს შვილი. მამაც ბრაზდება და წიგნის მაღაზიებს აწყდება.

ორი უშველებელი წიგნი ამოუჩრია ლეოს და ძალიან გახარებული ბრუნდება შინ.

— აჰა, მედიკო! — გასძახის მეუღლეს. — ეხლა კი მოვიგეთ ამ ჩვენი ჭინკა ბიჭის გული!

— რა არი ეგეთი, ეგ რა შეგიძენია? — უცქერის მედიკო წიგნებს.

დიდი წიგნების ლურჯ ყდებზე ლამაზად სწერია — ქართლის ცხოვრება.

— მეორე რათ გინდოდა?! — უკვირს ჭალს.

— ეს პირველი ტომია, ეს კიდევ მეორე. ეგ არც მე ვიცოდი, ვიფიქრე, ერთს ვიყიდი მეთქი და ბუკინისტი კინაღამ შეიშალა — როგორ თუ ეგ არ იცოდიო!

— რამდენად იყიდე? — კოპებს ჰკრავს ქალი.

— ღმერთმანი იაფად, ორივეს ფასი რვა მანეთი და ოცდათხუთმეტი კაპიკი აწერია, მე კი ექვს მანეთად და სამოც კაპიკად ვიყიდე, — თავს იმართლებს ქმარი.

— ჰმ, იაფად, ძალიან იაფად გიყიდია! ის ბიჭი რო ძირგვარდნილი ფეხსაცმლით დაწანწალებს, ეხლა ეს შენი ქართლის ცხოვრება ჩაიცვას, ჰა! — ჭავრობს დედა.

— კარგი, კარგი, ნუ აწუწუნდი. ჩემს პროექტს მალე დაამტკიცებენ და ყველას გვეშველება.

— შენ პროექტებს სულ ეგრე მალე ამტკიცებენ!

ახლა კი ჩუმდება ლეო, მაგრამ მთავარი ჯერ წინა აქვს.

ფურცლავს ქართლის ცხოვრებას, კითხულობს და იწმენდს ოფლს. გებულობს და ვერც გებულობს წაკითხულს. მოჰყვება თავიდან, გამოტოვებს, ბოლოს ჩაიკითხავს, ისევ თავიდან კითხულობს.

და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.

რაღა ჰქნას ლეომ? ჯერ ფიქრობს— საბას სიტყვის კონა მიშველის, თუ მიშველისო და ბოლოს მრავალტომიან ქართული ენის ლექსიკონსაც შოულობს. კიდევ კარგი, ზაფხულია და ცოლ-შვილი სოფელში ჰყავს გაგზავნილი!..

სოფლიდან აჩიკო კარგად ტანაურილი ბრუნდება. ჰოდა, სახლში ამდენ ახალ წიგნს რომ ხედავს, გულით უხარია. ეჭვევა და თვითონაც იწყებს წიგნების ჩხრეკას. ლეოს გულზე ეშვება. ისე, ცოტა არ იყოს, სწყინს კიდეც,—ძაან კი გაიწაფა კითხვით და...

მედიკოც სულს ითქვამს, ტუჟუბებიც იჩიტებიან და სახლი ნელ-ნელა შოშმინდება. დილაობით სკოლაში მაცუნცულებს ხელჩაჭიდებულ ტუჟუბებს აჩიკო. იქ რომ უფროსი ძმის შიშით პატარებს ხმას ვერავინ სცემს. ათასში ერთხელ კი სკოლიდან მაინც დასისხლიანებული მოძუნძულებს მგლის ლეკვი და ტუჟუბიც კუდში გამობმულნი მოსდევენ. ისევ იღრუბლება სახლი — ტირის დედა, ყვირის მამა და ისევ შოშმინდებიან.

აჩიკო წიგნებში იფლობა და ინაბუ-ბა.

— მამა, ვინ არი ჩემი მტერი?

ლეოს თვალები უფართოვდება:

— რა მტერი, რის მტერი, ბიჭო?!

— ჰო, ჩემი მტერი ვინ არი? — კიდევ ეკითხება აჩიკო.

— შენთან მტერს რა ხელი აქვს, შვილო, რაშია საქმე, გამაგებინეთ

— რაშია და დედაც და შენც ხომ მეუბნებით — კარგი ბიჭი ხარო, ჰოდა, მე მტერიცა მყავს!

— ეგ საიდან მოიტანე, შვილო?! — გული მისდის მამას.

— საიდან და ვაჟა-ფშაველამ თქვაცუდას რად უნდა მტეროობა, კარგია მუდამ მტრიანი!

— ჰოო.. — შვებით ისუნთქავს ლეო: — განა არ იცი, რაც ვაჟამ სთქვა, ეგ ძველ დროს ეხება?

— ძველ დროს არა! აბა, მილიცია და ჯარი რაღაა გვინდა ახლა?!

ლეოს ეცინება:

— ჰა, მილიცია და ჯარი? მაგას მერე გაიგებ, შვილო, რო გაიზრდები.

— მაშ ხომ გვყოლია მტრები! ჰოდა, ჩემი მტერი ვინ არი? — ჯიუტად კითხულობს ბიჭი.

— ჩაიწყვიტე ხმა, შე მართლა მგლის ლეკვო, შენა! — უყვირის მამა.

— ღმერთო, დიდებულო, ეს რა გავაჩინე ჩემს სატანჯველად! — ხელებს ასავსავებს დედა.

აჩიკო ჩუმად იპარება ოთახიდან.

* * *

აქ არავინ ხმაურობს და იცინის, ბიჭები არ აწვალებენ გოგოებს. გოგოებიც არ ჩურჩულებენ ერთმანეთში. აქ მუზეუმია და აგერ უკვე საათზე მეტია მოსწავლეები ყურადღებით უსმენენ მასწავლებელს. მასწავლებელს კიდეც უკვირს, ამდენ ხანს როგორ გაძლეს ბავშვებმა ასე წყნარად. მართალია, ამათ ბავშვები აღარც კი ეთქმის, მაგრამ, აბა რომელი ასაკის ადამიანები არ იბავშვებენ თავს, როცა ერთად შეიყრებიან სადმე.

— ჰე! აჩიკო, ნახე აქ რა გამოუკიდიათ!

— მოდით, ბიჭებო, მოდით!—ახლა აჩიკო ხმაურობს.

— ვაა!..

— იიჰ!..

— გამოუკიდიათ, თორე ესეც არი, რაღა!..

— ჰა-ჰა-ჰა!..

—რა ამბავში ხართ, დაწყნარდით!—მკაცრად ეუბნება მასწავლებელი ახმაურებულ ბიჭებს.

— მასწ., ხედავთ, როგორი ხმალია!

— არ არის, მასწ., ვახტანგ გორგასლის ხმალივით? იცინიან მოსწავლეები.

— დაწყნარდით!! — ისე ყვირის მასწავლებელი, რომ დაბნეული ბიჭები შეშდებიან.

— თქვენ იცით, ეს ვისი ხმალია! იცით, თქვენ რა ჩაიდინეთ!!—ცოფებს ჰყრის მასწავლებელი.

მოსწავლეები სულ იბნევიან, ჯერ ფითრდებიან და ცივდებიან. მერე ალმური ედებათ სახეზე ბიჭებს და თვალები უფართოვდებათ. ვაუბის ცეცხლი ანთებს ძველი ხმლის მილეულ

შუქს. ხმალი ელვარებს, ბრწყინავს და ცზრდება. ჩარჩო ირხევა. მინა იმსხვრევა და ხმალი დუშმანის თავზე ელავს! სცივა თავები, სისხლის ზღვა დგება — სპარსის და თურქის, ლეკის და გადამთიელის! სად არ ელავს ეს ხმალი, რა ჯურის მტერს არ ისტუმრებს მოუსვალეთში!

მასწავლებელს კისრის ძარღვები ებერება. ხმა უთრთის, თვალები სისხლით ევსება. ვაუები დგანან და სირცხვილით იწვიან. ძველი ხმლის ბრწყინვალება, მისი სიმხურვალე სწვავს ანთებულ სახეებს და გულებს!

მეტს ვეღარ უძლებენ ბიჭები და უხმოდ იპარებიან. მიდიან ჩუმად, თავჩაღუნულები. გოგოებიც წუნარად ტოვებენ დარბაზს.

— რა არის, ეთნოგრაფიულ გამოფენას არ დაათვალიერებთ?! — უკვირს მუზეუმის თანამშრომელს.

— არა! — მოკლედ სცრის მასწავლებელი და მოსწავლეებისაკენ მიეშურება.

დარბაზში უსულოდ რჩებიან ჩოხები და კაბები, საცვლები და პერანგები, ჯამები და ჭოთნები, ყანწები და ყარყარები, პაჭიჭქი და ქუდები, ხუფრები და კულები. მხოლოდ ძველი ხმალი ვერ შშვიდდება და ბორგავს, ბრწყინავს, ღაღადებს:

— ერეკლე! ერეკლე!! ერეკლე!!!

ნელა, უხმაუროდ ეშვებიან მოსწავლეები მუზეუმის უზარმაზარ კიბეებზე. ჩადიან დაბლა, გადიან შენობიდან და იქ მასწავლებელს ელოდებიან. მასწავლებელი არა ჩანს, არც აჩიკო ჩანს. გოგოები ვეღარ ითმენენ და ისევ შენობაში შერბიან. აღარც ისინი ბრუნდებიან. ბოლოს ბიჭებიც უკანვე ბრუნდებიან.

— ეგ რომ მართლა ერეკლეს ხმალი იყოს, მანდ ვინ დაჰკიდებდა—მაგდენი ხარა-ხურას გვერდით?! — გაიძახის მგლის ლეკვი და თვალებს აბრიალებს.

— მე რომ გეუბნები, ესე იგი არა ჯერა! — უყვირის დაბნეული მასწავლებელი.

— არა მჯერა! — არ იშლის თავისას აჩიკო.

მასწავლებელი უკვე მოთმინებას კარგავს. ცალკე შემოხვეული მოსწავლეები აღიზიანებენ, ცალკე შემოსწრებული ცნობისმოყვარეები აცოფებენ.

— ჰმ, კარგი, წავიდეთ ახლა და სკოლაში გავარკვიოთ!

— არ წამოვალ სკოლაში! — ჯიუტობს აჩიკო.

ცნობისმოყვარეებს ეღიმებათ. მოსწავლეებს შიში ერევათ.

— რატომ არ გჯერა, ბიჭიკო, მასწავლებლის — ის ხმალი ნამდვილად ერეკლე მეორეს ეკუთვნოდა. — სჭშეში ერევა მუზეუმის თანამშრომელი.

—ერეკლეს ხმალი მცხეთაშია! — ჰყვირის მგლის ლეკვი.

— სად?!

— სად და მცხეთაში, სვეტიცხოველში, ერეკლესთან ერთად მარხია! — უხსნის აჩიკო.

— ოჰოო, ეგ ვინ გასწავლათ, ჭაბუკო?! — უკვირს მუზეუმის თანამშრომელს.

— ვინა და საჩინო პაპამ!

ცნობისმოყვარეებს ეცინებათ, მოსწავლეებსაც, მასწავლებელსაც ეღიმება.

— მერე და რატომ გგონიათ, რომ მხოლოდ თქვენი პაპაა მართალი და სხვა კი არავინ? — თეატრალური კილოთი ეკითხება მუზეუმის თანამშრომელი და ხალხს აცინებს.

— დიახ, პაპაჩემი მართალია, იმიტომ, რომ იმან ისეთი ამბები იცის, რაც წიგნებშიც კი არა სწერია, გასაგებია? — არა ცხრება აჩიკო.

— კმარა, წავიდეთ ახლა! —მკაცრად ამბობს მასწავლებელი და ყველანი გასასვლელისაკენ მიდიან.

— ეგ არ არის ერეკლეს ხმალი, არ არის! — საბოლოოდ იძახის მგლის ლეკვი და ისიც შენობიდან გადის.

* * *

იცოცხლეთ, აჩიკოს მშობლებს სკოლაში იბარებენ და მგლის ლეკვს კარგა მაგრადაც ჯორავენ, ოღონდ, ახლა მეტად მოსწონს ისტორიის მასწავლებელს ეს ჯიუტი ბიჭი. ბიჭიც გრძნობს ამას და თვითონაც მეტი პატივისცემით ეპყრობა აღმზრდელს. აჩიკოს ადრეც უნდოდა ეკითხა მისთვის ერთი რამ, მაგრამ ერიდებოდა. ახლა ისე აღარ ერიდება, ადგება და ჰკითხავს. აბა რა, მასწავლებელი იმისათვის არის, რომ მოსწავლეს მოუსმინოს და უპასუხოს, მამა სულ იმას ეუბნება, რა ჩემი ახსნა გინდა, უკვე დიდი ბიჭი ხარ, დაჯექი და შენ თვითონ წაიკითხეო. კითხულობს აჩიკო, განა არ კითხულობს, მაგრამ ყველაფერს კი ვერ გებულობს. მაინც ეს ქართლის ცხოვრება ხომ სულ თავგზას უბნევს ბიჭს.

ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი: და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუნითცა მიმართის და მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი. მიერითგან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქვან: „დურ აზ გორგასალ“, რომელ არს ესე: „მირიდეთ თავსა მგლისასა“. და მის მიერ სახელ — ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ“.

წინ მგლის თავი, და ლომისა კი უკან?! განა არ იცოდა ვახტანგმა, რომ ლომია ნადირთა მეფე და არა მგელი?! — ფიქრობს აჩიკო და ვერაფერი გაუგია.

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს
ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწუდებიან, ჯავრი
შესჭამონ მტრისანი!

— ხალხმაც რაღა მგლის ლეკვებზე გამოთქვა ლექსი?! განა ჩვენმა წინაპრებმა არ იცოდნენ, რომ ლომია უძლეველი და არა მგელი?!

აჩიკო ჩუმდება. ოთახში მხოლოდ ორნი არიან და სიწუნარეა. მასწავლებელს კითხვა ენაზე ადგას და თავს ძალას ატანს, რომ არ ჰკითხოს. ახლა რომ ვკითხო, დაირცხვენს და აღარ მომისმენს, ფიქრობს და იწუებს:

— კარგი, აბა მისმინე, აჩიკო. უძველეს დროში ყველა ხალხს თავისი ტოტემი ჰყავდა, ტოტემი სხვადასხვა გვარი იყო.. ეს ჩვენ უკვე გავიარეთ და შენ უნდა გახსოვდეს. ძველი ქართველები კი ყველაზე მეტად მგელს სცემდნენ თაყვანს. იცი რატომ? აი... აბა, გაიხსენე, ცირკში თუ როდისმე გინახავს გაწვრთნილი მგელი?

— მგონი არასოდეს, — დაეჭვებით უპასუხებს აჩიკო და უკვირს — ცირკი აქ რა შუაშიაო.

— არც ოდესმე ვინმეს უნახავს და ვერც ნახავს! ყოველ სულიერს ერთი მთავარი თვისება მიანიჭა ბუნებამ: ადამიანს — გონება, ლომს — ძლიერება, ბულბულს — გალობა, გველს — შხამი, ძაღლს — მორჩილება, ხოლო მგელს —თავისუფლება! ვერც ერთი სულიერი ისე მაღლა ვერ აუენებს თავისუფლებას, როგორც მგელი! ამიტომაც ჩვენი წინაპრები ყველაზე მეტად მგელს სცემდნენ პატივს. ახლა ხომ გასაგებია, ვახტანგ გორგასალმაც რატომ გამოისახა მუზარადზე წინ მგელი და უკან ლომი? — ამით ამბობდა: თავისუფლებას მგელივით ყველაფერზე მაღლა ვაყენებ და მას ლომის ძლიერებით დავიცავო.

— ჰოო... — აგრძელებს ჩაფიქრებული აჩიკო და უცებ ეკითხება: — აბა, ზოოპარკში რომ ჰყავთ მგლები?

მასწავლებელს ნაღვლიანად ეღიმება:

— ეჰ.. გალია ხომ ციხეა მგლისათვის და ზოოპარკი — ტყვეობა. ტყვეობისაგან დაზღვეული არავინ არ არის და ის კი არ არის გმირობა, ტყვედ არ ჩავარდე — ეს შეიძლება საქმეა. გმირობა ის არის ტყვეობაშიც არ გატყდე და სულით უძლეველი დარჩე! ზოოპარკში დათვები, ვეფხვები და თვით ლომებიც კი ზანტად თვლემენ და დაიზლაზნებიან. მხოლოდ მგელი არ ისვენებს — წრიალებს, აწყდება კედლებს და იღრინება! რამდენი ლომის ნაშიერი და რა ჯურის მხეცი გინდა, სწორედ ზოოპარკში დაძაბუნებულნი, გაუწვრთნიათ და ცირკში ტაკიმასხარად გაუხდიათ!

მგელი კი არც ერთი!!!

ჰაბუკი იშმუშნება, დგება და მადლობის თქმას აპირებს, მაგრამ მასწავლებელი ასწრებს:

— აჩიკო, მაინც რათ დაგაინტერესა ასე მგლების ამბავმა?

— მე, პატივცემულო მასწავლებელო პატარაობიდან პაპაჩემმა... აი, ჩემმა პაპამ... მგლის ლეკვი შემარჭვა, ჰოდა...

— ჰოო... — იხსენებს მასწავლებელი: — ეგ რომელმა პაპამ — საჩინომ?

აჩიკო მორცხვად უღიმის და თავს უქნევს:

— დიახ, საჩინო პაპამ.


— აჰაა, — ეღიმება მასწავლებელსაც: — ეგ კი ნამდვილად ზედგამოჭრილი სახელი შეურჩევია პაპაშენს.

— დიდი მადლობა, პატივცემულო მასწავლებელო, მე ახლა...

— ახლა გეყოფა. სახლში წადი, თორემ ძალიან დაგაგვიანდა და მოგახვედება, ნახვამდის, — აწყვეტინებს მასწავლებელი და ისტუმრებს.

მგლის ლეკვი ამაყად მიაბიჯებს ბინდბუნდში და თვალების ბრიალით იმეორებს:

— დურ აზ გორგასალ, რომელ არს ესე: მირიდეთ თავსა მგლისასა!



გრემ-ჭალაჭის ახალი სიცოცხლე

(დასასრული).

ხოვნელად, უკან გრემში ჩამოსატანად. თუნდაც ძეგლ-მუზეუმში დასაკიდებლად.

ფვანები კეთილი ხალხია. ძეგლთა დაცვა და პატივი კარგი იციან. აკი მრავალი ეროვნული საგანძურთანაც გადაგვირჩინეს, ჰადიშის სახარებიდან დაწყებული!

არც გრემელების თხოვნას დასტრვებენ უყურადღებოდ... ზარსაც ჩამოგატანენ და გრემ-ჭალაჭობაზეც მოგვწვევიან!

ხალხის ტალღა ისევ ტორტმანობს. ახლა საჭიდაოს კილოზეა აწყობილი მისი ომახიანი ნაჭავლი. ფსკერიდან მოსულ სუნთქვასავ ვგრძნობ და მეც იქით მიმიწევს გული.

ავყევი. საერთო გნიასი სადოაც ჩემს ზევით შეიკრა. მძლავრმა დინებამ ფრთა მომდო, ჩამძირა და უფრო გამამახვილა...

საჭიდაო წრეში ჩოხაგადაკიდული თავქარხორა და მკერდბორბალა ბიჭები, შებუღრაკებულ მოზრევებივით ზვერავენ ურთიერთს... ერთ წივილა-ღალა ბიჭს მესტრების გახდა გასჭირვებოდა, ზოგი იღლიებში ჩათრევნოდა, ზოგიც მესტრებს ეჭიჭჩაჩებოდა...

—ნება-ნება გრემ-ჭალაჭილებო! ფეხები არკი წამგლეჯოთ... მერმე რა ჩემი ფეხებით ვეჭიდაო?

ხალხი საჭიდაოს კილოზე ხარხარებდა... ამავე კილოზე ფეთქავდა მთა, ციხე, ტაძარი, ჭოლგები, ჭიდებით, სარძიალობებით შენივთებული ირგვლივეთი.

მე ისევ ამერია ოცნება და სინამდვილე. მზის გულზე თითქოს ჟანგაფერი გამჭვირვალე იყო, გახარებული იყო ყოველი მოდგმა და ასაკი...

ერთგან გაგანია მზეში, მაინცადამაინც მოხუცები შეყრილან. ჟველას კარგად ვცნობ...

— გამარჯობათ ბერიკაცებო! ერთობლივ გრემელებო! დღეობას მოგილოცავთ! — სათითაოდ, ნაჩქარევად, ხელი ჩამოვართვი, —ოქრო-პაპავ, გიცანი! ჭაღარა მოგრევია და დრო კი ვერა!

— შენ კი ფილო ხარ! — ახლა სხვას მივუბრუნდი, — ლიბრიც მოგიშორებია, ფილო-მნათე!

— არა, გაგა კოლმეურნე გახლავარ! ჩემ უფროს ბიძისას იტყოდნენ — მხედრიც ყოფილა და ლიბრიანიც...

— შენ არა ხარ, ხოსიტავ?

— ცოტა შეგეშალა — გიორგა ვარ... თუ ჩემს ძველკობერა ნათლიას დაეჯერებ!

— მოგეწონათ გრემ-ჭალაჭობა?

ახლა კი ერთად შემომძახეს:

— კიდევაცა და დიახაც! ნამდვილ სახალხო დღესასწაულს მოვესწარით!.. ძველ მარიამობას დაეჯარა!

— დღესასწაულიც ასეთი უნდა... თორემ მოჰყვებიან ბრტყილ-ბრტყილებსა... — ბოლო აღარ გამიგია, უკვე სხვაგან ვიყავი, ზაზა ახნიაურს დავედევნე, მაგრამ ხალხში დამეკარგა... ახლა მამყა, სათინო და საბედო ერთად შეყრილიყვნენ... მაგრამ მესაკრავეთა დასტამ წინ გადამიარა... ჩოხსალამურა სულ ყურადღება და ონბაზობდა, ვეღარ მივწვდი საოპარაკოდ. თანაც თავბრუ დამეხვია — მრავალი ხალიანებით აყვავებული გრემის მიდამო!

გრემ-ჭალაჭობა ახალი, შეგნებული კეთილმოწყალეობის შედეგია. იგი ძეგლთა მეგობრობასაც ნიშნავს და ახალ ყოფის დადგენასაც. პატრიოტულ და ესთეტურ აღზრდასაც და კულტურულ ზეიმსაც... დიდია მისი ზნეობრივი მნიშვნელობაც...

და საქართველოს სხვა კუთხეებმაც მიჰხედონ გრემელებს და ახლა სხვა ღირსეული თარიღები და ძეგლები აამეტყველონ!

სურათზე: კურორტი ახალი ათონი, გედის ტბა.

ყ. 20/111.

ჰ. ბიოლი: კვლავაც ჩამოვალ საქართველოში

პოპულარული გერმანელი მწერლის ჰაინრიხ ბიოლის შემოქმედებას კარგად იცნობენ ქართველი მკითხველები. მეტი წილი მისი რომანები — „სად იყავი, ადამ?", „და ერთი სიტყვაც არ უთქვამს", „უპატრონო სახლი", აგრეთვე მოთხრობა „ადრინდელი წლების პური"—თარგმნილია საბჭოთა ხალხების სხვადასხვა ენებზე. კერძოდ, ორიოდე წლის წინათ თბილისში გამოიცა ჰაინრიხ ბიოლის ტომი, რომელშიც ორი რომანი და ოცამდე მოთხრობაა მწერლისა. წიგნი თარგმნა ნოდარ რუხაძემ.

ამჟამად ნოდარ რუხაძე ამთავრებს რომანის „სად იყავი, ადამ"? თარგმნას, შემდეგ კი შეუდგება მუშაობას ნაწარმოების „კლოუნის თვალით" თარგმნაზე, სადაც გამოყვანილია ბონის სახელმწიფოს მეუფეთა — ეკონომიური, პოლიტიკური და რელიგიური მეუფეთა ფარისევლური და მტაცებლური სამყარო. უნდა ითქვას, რომ რომანმა „კლოუნის თვალით" საშინელი გულისწყრომა გამოიწვია ბონის საზოგადოების „უმაღლეს" წრეებში. დასავლეთბერლინელი ეპისკოპოსი ერიხ კლაუზენერი ბობოქრობდა; მან ავტორს დასწამა მკრეხელობა, განდგომა და ღალატიც კი. ჰაინრიხ ბიოლი აღაშფოთა ცილისწამებამ. თავის „ღია წერილში" ეპისკოპოსისადმი მან განაცხადა: „მე მუდამ ვადავოდ მიმაჩნდა ეკლესიის და მის მსახურთა კომპეტენციურობა ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებში და არასოდეს არ მიმიჩნევია სადავოდ მათი კომპეტენტურობა მორალის საკითხებში, მაგრამ ახლა თანდათანობით შემაქვს ეჭვი ამ კომპეტენტურობაშიც".

და აი გაზეთ „სამშობლოს ხმის" რედაქციის დავალებით სტუმრად ვართ ჰაინრიხ ბიოლთან. ის თავისი ვაჟიშვილებითურთ იყო თბილისში.

— ორი დღე, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ საქართველო გაიცნო, მაგრამ მე უკვე ბევრი რამის ნახვა მოვასწარი, — ალტაცებით ამბობს ბიოლი.

ეს დღეები მართლაც უკიდურესად დაძაბული იყო. ჩვენმა სტუმარმა დაათვალიერა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციები, იყო რესპუბლიკის სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ელგუჯა ამაშუკელის სახელოსნოებში, შეხვდა უნივერსიტეტის მასწავლებლებსა და სტუდენტებს, იყო საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში, ავიდა ჯვარზე...

— ადრე თუ ყოფილხართ საბჭოთა კავშირში?

— თქვენს ქვეყანაში უკვე მესამედ ჩამოვდივარ. უფრო სწორად, მეოთხედ. პირველად ომის წლებში...

ომი... მან ღრმა კვალი დატოვა გერმანელი მწერლის ცხოვრებაში. მაშინ ბიოლი ჯარისკაცად ემსახურობდა მონაწილეობდა ჰიტლერის სამარცხვინო „დრანგ ნახ ოსტენში", მიაღწია ყირიმამდე. მან შეიზიზღა სამხედრო ხროვა და ფაშიზმი და ამ თემით შევიდა ლიტერატურაში. მისი პირველი გმირები ჯარისკაცები არიან. რომლებიც ამაოდ ცდილობენ თავი დააღწიონ ომის საშინელებებს, პასიურად ეწევიან წინააღმდეგობას და იღუპებიან.

— რაზე მუშაობთ ახლა?

— რომანის „კლოუნის თვალით" შემდეგ გამოვეცი კიდევ ორი წიგნი — „ნაწილდან წასვლა" და „სანსახურებრივი მოგზაურობის ბოლო". ამ უკანასკნელ რომანში მთავარი გმირები მამა-შვილი არიან. შინაარსი რთულია, ნაწარმოებში ბევრი მოქმედი პირია. რომანი იშლება სასამართლო პროცესის ფონზე. თუმცა, ა.ბა ღირს შინაარსის მოყვანა. ეს რომანი „ნოვი მირის" 1967 წლის პირველ ნომრებში დაიბეჭდება.

რაც შეეხება გეგმებს, მე, როგორც თვითეულ მწერალს, დიდი გეგმები მაქვს. საბჭოთა კავშირში ჩამოვედი, რომ შევქმნა სატელევიზიო ფილმი „დოსტოევსკი პეტერბურგში". ჩვენს ტელევიზიაში მოფიქრებულია ფილმების ასეთი სერია „მწერლები და ქალაქები". ფილმი დოსტოევსკიზე პირველი იქნება. გადაწყვეტილია კიდევ შეიქმნას ფილმები ლევ ტოლსტოისა და ისააკ ბაბელზე. ფილმს ბაბელზე ალბათ მე გავაკეთებ.

ჩემი მოგზაურობით კმაყოფილი ვარ. ლენინგრადში დავიარე ყველა ის ადგილი, რომლებიც დაკავშირებულია დოსტოევსკისთან. დამატარებდა მწერლის შვილიშვილი. ვინახულე დოსტოევსკის სახლი, ვიყავი იმ ეკლესიაში, სადაც მას ჯვარი დაუწერია, დავთვალიერე მის ნაწარმოებებში მოხსენიებული ბევრი ადგილი, და ა. შ. მოსკოვში რომ ვიყავი, აქაც დავიარე დოსტოევსკისთან დაკავშირებული ადგილები. ერთი სიტყვით, ვრცელი მასალა შევკრიბე. ვფიქრობ გაზაფხულზე კვლავ ჩამოვიდე, უკვე ოპერატორითურთ, დავიწყებთ გადაღებას.

რაც შეეხება საქართველოს, აქაც კვლავ ჩამოვალ, უკვე ოჯახიანად და, რა თქმა უნდა, მეტ ხანს დავრჩები. დედამიწის ეს კუთხე ზღაპრულად ლამაზია.

ხ. არაბული.

სურათზე: ჰაინრიხ ბიოლი და ნოდარ რუხაძე სტუმრად საქართველოს სახალხო მხატვარ ლადო გუდიაშვილთან.



ჩვენი ფალავნების გამარჯვება

- საბჭო მამაცთა სპორტია
- მოჭადრაკე ქალები სტარტზე
- „მეშახტის" წარმატება

სიტყვა საბჭო „თვითდაცვას" ნიშნავს. ეს ჰიდაობა საბჭოთა კავშირში შეიქმნა და სწრაფად გავრცელდა მის საზღვრებს გარეთაც, ახლა კი საერთაშორისო სტატუსი მოიპოვა. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატს, რომელსაც მრავალი უცხოელი სპეციალისტი ესწრებოდა, მათ შორის სამბოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი როჟე კულონი (საფრანგეთი).

ასპარეზობა დაძაბულად წარიმართა.







უმჩატეს წონაში ოქროს მედლის მფლობელი გახდა კასპელი ლ. კაციაშვილი. გაასკუთრებით დაძაბული იყო ბრძოლები საშუალო წონაში. ახალგაზრდა თბილისელ მოჭიდავეს გ. გამილაღდიშვილს მძიმე ორთაბრძოლების გადატანა მოუხდა, განსაკუთრებით ნახევარფინალსა და ფინალში. მძიმე წონაში ბადალი არ ჰყავდა გორელ ა. ქიბროწაშვილს. ფინალში მისი მეტოქე ლენინგრადელი ი. ანდრონიკოვი 18 კილოგრამით მძიმე იყო ქიბროწაშვილზე. ქართველი მოჭიდავე ბრწყინვალედ იბრძოდა და წმინდა გამარჯვება მოიპოვა 4 წუთსა და 55 წამში. დასკვნითმა ილეთმა დამსწრეთა აღტაცება გამოიწვია, ხოლო რ. კულონმა დაჯილდოვა გამარჯვებული.

კიევში სტარტი მიეცა სსრ კავშირის ჩემპიონატს ჭადრაკში ქალთა შორის. ოცმა მოჭადრაკემ მოიყარა თავი ამ ასპარეზობაზე, რომელიც ამავე დროს შესარჩევი ტურნირია. სამი გამარჯვებული უფლებას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირში გამოვიდეს.

საქართველოდან ამ მონაწილეობენ საერთაშორისო ოსტატი ალა ჩაიკოვსკაია, ოსტატები ელისო კაკაბაძე, ნანა ალექსანდრია და პირველად ა. ქიბროწაშვილის ფინალში მეტოქე დრონიკოვა 18 კილოგრამით მძიმე იყო ქიბროწაშვილზე. ქართველი მოჭიდავე ბრწყინვალედ იბრძოდა და წმინდა გამარჯვება მოიპოვა 4 წუთსა და 55 წამში. დასკვნითმა ილეთმა დამსწრეთა აღტაცება გამოიწვია, ხოლო რ. კულონმა დაჯილდოვა გამარჯვებული.

კიევში სტარტი მიეცა სსრ კავშირის ჩემპიონატს ჭადრაკში ქალთა შორის. ოცმა მოჭადრაკემ მოიყარა თავი ამ ასპარეზობაზე, რომელიც ამავე დროს შესარჩევი ტურნირია. სამი გამარჯვებული უფლებას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირში გამოვიდეს.

საქართველოდან ამ მონაწილეობენ საერთაშორისო ოსტატი ალა ჩაიკოვსკაია, ოსტატები ელისო კაკაბაძე, ნანა ალექსანდრია და პირველთანრიგოსანი ცისანა კახაბრიშვილი. განსაკუთრებით საინტერესოა ნანა ალექსანდრიას გამოსვლა. სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებენ მასზე. 17 წლის ნანა უკვე ორჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი. საკავშირო ჩემპიონატში გაიყო მე-6-7 ადგილი. წელს კი ძალიან ადვილად მოიგო ნახევარფინალი.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ტყიბულის „მეშახტის" ლებბურთელებმა, რომლებიც „ბ" კლასში თამაშობენ. ტყიბულელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც განსაკუთრებით აღმავლობით ჩაატარეს ჩემპიონატის მეორე წრე, უფლება მიიღეს ფინალურ ტურნირში გამოსულიყვნენ და ებრძოლათ მოკავშირე რესპუბლიკების ჩემპიონის ტიტულისათვის. ტყიბულელებმა ჩინებულად გაართვეს თავი ამ ამოცანას.

წარმატებულად გამოდიან უმაღლეს ლიგაში თბილისის „დინამო" და ქუთაისის „ტორპედო". დინამოელებს ჰქონდათ შანსი მეოთხე ადგილი დაეკავებინათ, მაგრამ თბილისში მოულოდნელად დაკარგულმა ქულამ ოდესის „ჩერნომორეცთან" ეს იმედებიც გააქარწყლა (მატჩი ფრედ — 1:1 დამთავრდა). ქუთაისელებმა კი ორი ქულა დაკარგეს იმავე „ჩერნომორეცთან" შეხვედრაში — 0:1.

ო. ლორთქიფანიძე.

სურათებზე: სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონები სამბოში (მარცხნიდან) ლ. კაციაშვილი, გ. გამილაღდიშვილი და ა. ქიბროწაშვილი.



მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე უოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის უოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე. თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.